

ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული/- #6 (16) 2026
<https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.05>

„ცოცხალი“ თეატრი - დროის კონტექსტში

მარინე (მაკა) ვასაძე

საკვანძო სიტყვები: დრო, თეატრი, რეჟისორი, ხელოვნება, პოლიტიკა, ინტერპრეტაცია

თეატრი საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ხერხით თუ ფორმით, თანამედროვეობაში არსებულ პრობლემებს ასახავს. თეატრი მხოლოდ მაშინ არის ცოცხალი და საინტერესო, მხოლოდ მაშინ ამყარებს კონტაქტს მაყურებელთან, მხოლოდ მაშინ შედგება დიალოგი თეატრსა და მაყურებელს შორის, როდესაც იგი დროის, ეპოქის თანხმეობა, წარმოაჩენს თანამედროვეობის პრობლემებს, მწვავე სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებს, სვამს კითხვებს და მაყურებელთან ერთად ეძებს პასუხებს, არსებული ვითარებიდან გამოსავლის გზებს.

თეატრი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ცვლიდა გამოსახვის ფორმებს, ხერხებს, ქმნიდა და დღესაც ქმნის სხვადასხვა მიმდინარეობას - შინაარსობრივი, სტრუქტურული თუ ფორმობრივი თვალსაზრისით. ცვლილებებისკენ კი არსებული დრო, ეპოქა თუ ვითარება უბიძგებს ხოლმე. პიტერ ბრუკის სიტყვებს თუ დავესესხებით, ნებისმიერი თეატრალური ფორმა, კვდება, თუკი არ მოხდა მისი გადააზრება, ახლებური მიდგომა, რაც დროის გავლენით იქმნება.¹

ქართული თეატრი, თავისი არსებობის განმავლობაში, ყოველთვის თანამედროვე ცხოვრების ამსახველი იყო, ქართული სცენიდან ყოველთვის ისმოდა ქვეყნის, ხალხის სატკივარი. უფრო მეტიც, მაჩაბელას დასის გმირული დაღუპვა დამპყრობლის წინააღმდეგ კრწანისის ბრძოლაში, უპრეცედენტო ფაქტია მსოფლიო თეატრის ისტორიაში.

ჩემი კვლევის მიზანია წარმოვაჩინო, თუ როგორ, რა ფორმებით და ხერხებით პასუხობს, საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, ქართული თეატრი.

„თეატრის დანიშნულება მხოლოდ გართობა რომ იყოს, შესაძლოა, ამდენი ძალისხმევის დახარჯვა არ ღირდეს. მაგრამ თეატრი ცხოვრების ასახვის ხელოვნებაა“.²

წინასიტყვაობა

2024 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ რეაქციებს საზოგადოების მწვავე რეაგირება მოჰყვა. ხალხმა გაყალბებულ არჩევნებს, ქვეყნის საგარეო

კურსის შეცვლას, ევროპიდან ოკუპანტი რუსეთისკენ შებრუნებას მშვიდობიანი საპროტესტო აქციები დაუპირისპირა. სახელმწიფო სტრუქტურებმა პროტესტს არაადეკვატური რეაქციით უპასუხეს. პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფები სასტიკად გაუსწორდნენ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს, 50 ახალგაზრდა აბსურდული ბრალდებებით დააპატიმრეს, მათ შორის მსახიობები - ანდრო ჭიჭინაძე და ვეფხია კასრაძე. ეგრეთ წოდებული „უსამართლო სასამართლო“³ თავად აბსურდის დრამატურგიებისთვის წარმოუდგენელ, მოაზროვნე

1 ბრუკი, ცარიელი, 1984.

2 Антарова, Беседы, Станиславским, записанные Корой Антаровой.

3 მჭევრმეტყველი გამოთქმა - „უსამართლო სასამართლო“ - 2024 წლის ნოემბერში, დემონსტრანტთა სასტიკი დარბევების და დაჭერების დროს, დაიბადა საპროტესტო აქციებზე.

ნე გონებისთვის ჩაუწვდომელ, დაუსრულებელ, გროტესკულ „აბსურდის თეატრად“ აქციეს „ამა ქვეყნის მმართველმა მამებმა“. სათეატრო მოღვაწეთა უმრავლესობა გაიფიცა. 100-დღიანი გაფიცვის შემდეგ თეატრებმა პროტესტის ფორმა შეცვალეს, დაუბრუნდნენ სათეატრო ფიცარნაგებს (შენობებსა თუ ქუჩებს) და დღეს, მრავალფეროვანი, მრავალმხრივი ფორმებით გამოხატავენ თავიანთ სათქმელს, ჩვენს ქვეყანასა თუ მსოფლიოში, მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ პრობლემებზე. თეატრები თავის ფუნქციას ასრულებენ, ისინი რეალისტური თუ პირობითი ენით, მაყურებელთან (საზოგადოების წევრებთან) აქტიურ, ქმედით კომუნიკაციას ამყარებენ.

ამოცანა

რამდენიმე წლის წინ (2015) პოლონელმა რეჟისორმა ქშიშტოფ ვარლიკოვსკიმ⁴ თეატრის საერთაშორისო დღეს, თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის (The International Theatre Institute) თხოვნით, ამ თარიღისადმი მისალოცი სიტყვა მოამზადა (ეს ტრადიცია 1961 წლიდან არსებობს). ვარლიკოვსკიმ შექმნა მიმართვა/მანიფესტი, რომელიც ინსტიტუტმა 27 მარტს 22 ენაზე გამოაქვეყნა და რომელიც, ამ დღეს, მსოფლიოს სხვადასხვა თეატრში იქნა წაკითხულ/ნაწახი. მას შემდეგ 11 წელი გავიდა და ეს მიმართვა/მანიფესტი დღესაც აქტუალურია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური ვითარებიდან გამომდინარე. გთავაზობთ ამონარიდს: „ყოველდღიურად ვფიქრობ მწერლებზე, რომლებმაც ასი წლის წინ იწინასწარმეტყველეს, მაგრამ ამავდროულად თავშეკავებულად აღწერეს ევროპის ღმერთების დაცემა, ჩვენი ცივილიზაციის ბინდში ჩაძირვა, რომელსაც ნათელი ჯერ კიდევ არ დასდგომია. [...] მათი საღი ამრი სამყაროს გარდაუვალი დასასრულის შესახებ - არა პლანეტის, არამედ ადამიანური ურთიერთობების მოდელის - და სოციალური წესრიგისა და არეულობის შესახებ, ჩვენთვის აქ და ახლა მწვავედ აქტუალურია. ჩვენთვის, ვინც სამყაროს აღსასრულის შემდეგ ვცხოვრობთ. ვინც ვცხოვრობთ დანაშაულებისა და კონფლიქტების პირისპირ, რომლებიც ყოველდღიურად ახალ ადგილებში უფრო

სწრაფად ფეთქდება, ვიდრე ყველგანმყოფი მედია ახერხებს თვალყურის მიდევნებას. ეს ცეცხლი მათთვის სწრაფად მოსაწყენი ხდება და პრესის რეპორტაჟებიდან ქრება, აღარასდროს ბრუნდება. ჩვენ კი თავს უმწეოდ, შეშინებულად და შეზღუდულად ვგრძნობთ. [...] ჩვენ აღარ გვაქვს ძალა, რომ ვცადოთ და დავინახოთ, რა იმალება კარიბჭის მიღმა, კედლის მიღმა. და სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს თეატრი და სწორედ აქ უნდა ეძებოს მან თავისი ძალა. ჩავიხედოთ სიღრმეში, სადაც ყურება აკრძალულია“.⁵

ვარლიკოვსკიმ ნათლად და პირდაპირ თქვა, რომ თეატრი უნდა ასახავდეს ზოგადსაკაცობრიო თუ ლოკალურ პრობლემებს, იქნება ეს სოციალური, პოლიტიკური, ომებთან დაკავშირებული თუ საზოგადოებებში არსებული ძალადობის, სისასტიკის გადმომცემი. სხვადასხვა ფორმით თუ ხერხით, სწორედ ასეთ, „ცოცხალ თეატრს“ ქმნიდნენ და ქმნიან დღესაც, ის რეჟისორები, რომელთაც საკუთარი ქვეყნის, ხალხის თუ, ზოგადად, მსოფლიო პრობლემები აწუხებთ და საკუთარი სათქმელის, კონცეფციის გადმომცემა ძალუძთ. ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: ანდრე ანტუანი, მაქს რეინჰარდტი, ვსევოლოდ მეიერჰოლდი, კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, ერვინ პისკატორი, კონსტანტინე სტანისლავსკი, ბერტოლტ ბრეხტი, ჯორჯო სტრელერი, პიტერ ბრუკი, კრისტიან ლუპა, ეიმუნტას ნეკროშიუსი, რობერტ სტურუა, ქშიშტოფ ვარლიკოვსკი, ოსკარას კორშუნოვასი, მილო რაუ, ლევან წულაძე, დათა თავაძე, გეგა გაგნიძე და სხვები.

ჩემი ამოცანაა, განვიხილო, თუ როგორ პასუხობს საქართველოში (მსოფლიოში) არსებულ უახლეს პოლიტიკურ/სოციალურ ვითარებას ქართული თეატრი, რამდენიმე რეჟისორის დადგმის მაგალითზე.

თეორიული ჩარჩო

თეატრი, დასაბამიდან დღემდე, თავისი არსით ყველაზე ცოცხალი, სინთეზური, კომუნიკატორული, ერთდროულად - პირობითი და რეალისტური, გასართობი და შემეცნებითი, ემოციურ-განცდიითი და ანალიტიკურ-აზრობრივი - ხელოვნების დარგია. ამავდროულად, თეატრი ყოველთვის იყო

4 ქშიშტოფ ვარლიკოვსკი (Krzysztof Warlikowski, 1962) ცნობილი პოლონელი რეჟისორი. კრისტიან ლუპას მოწაფე, სწავლობდა აგრეთვე პიტერ ბრუკთან და ჯორჯო სტრელერთან. მისი გახმაურებული დადგმა „ფრანგები“ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე იყო ჩამოტანილი 2017 წელს.

5 WARLIKOWSKI, The International. ავტორის თარგმანი (მარინე (მაკა) ვასაძე).

და არის პოლიტიკური, ვინაიდან თეატრი მხოლოდ მაშინ არის მაყურებლისთვის საინტერესო, როდესაც თანამედროვე პრობლემებს ეხმიანება, ცდილობს მწვავე საკითხები წამოსწიოს, როგორც ადამიანის არსებობის ეგზისტენციალური, ისე პოლიტიკურ-სოციალური ვითარება. დაწყებული ტრაგიკოსი მამების – ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ტრაგედიებიდან, ეგრეთ წოდებული პოსტდრამატული ავტორებით დამთავრებული, ნაწარმოებების მთავარი ნარატივი, შესაბამის ეპოქათა გეოპოლიტიკური თუ საზოგადოებაში არსებული სოციალური მდგომარეობის წარმოჩენაა. ერვინ პისკატორი წიგნში „პოლიტიკური თეატრი“ წერდა: „ყველა თეატრი პოლიტიკურია, უძველესი დროიდან დაწყებული, ბურჟუაზიული და პროლეტარული პოლიტიკური თეატრით დამთავრებული. მე ჩემი თეატრისთვის სახელი „პოლიტიკური“ ავირჩიე, რადგან ბურჟუაზია თავს იმართლებს, თითქოს მის თეატრს პოლიტიკასთან არაფერი აქვს საერთო“.⁶

ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, დრამა და თეატრი მუდმივ ცვლილებას განიცდის ეპოქის შესაბამისად. იცვლება ჟანრები, მიმდინარეობები, გამოსახვის, ასახვის, საშემსრულებლო ხელოვნების ფორმები, როგორც ევროპულ, ასევე, აზიურ თეატრში.⁷ დოკუმენტურ/პოლიტიკური თეატრი კი უშუალოდ მე-20 საუკუნის პირმშოა, დასაბამს იღებს გერმანელ ექსპრესიონისტ დრამატურგებთან და რეჟისორებთან,⁸ ერვინ პისკატორი დასრულებულ სახეს მისცემს, ბრეხტი თავისებურად განავითარებს და პისკატორისგან ნასესხები ტერმინით „ეპიკური თეატრის“ თეორიას და „გაუცხოების მეთოდს“ ქმნის, რითაც ამოაყრავებს მანამდე არსებულ შინაარსობრივ თუ ფორმობრივ თეატრს. XX საუკუნიდან პრეეგზისტენციალისტები⁹ და პირველი და მეორე მსოფლიო ომის სულიერ/მატერიალისტური კრიზისით შობილი ეგზისტენციალისტი დრამატურგები თუ აბსურდის

დრამის შემქმნელები, კირკეგორისეული ახალი ღმერთის ძიებით თუ ნიცშეანური ღმერთის სიკვდილით, ფროიდის ფსიქოანალიზითა და იუნგის ანალიტიკური ფსიქოლოგიით, ადამიანის აზროვნების ცნობიერსა თუ არაცნობიერში არსებული არქეტიპების შესწავლით შთაგონებულნი ქმნიან საუკუნეების განმავლობაში არსებულისგან სრულიად განსხვავებულ დრამას. ისინი მთლიანად არღვევენ დრამის სტრუქტურას და აგებენ აბსოლუტურად ახალს. „მითების მკვლელები“ მითების დეკონსტრუქციით ახალ მითებს თხზავენ. მაგალითად, ჰაინერ მიულერის და მისი შემდგომი პერიოდის თანამედროვე, უახლესი დრამა შეიძლება ითქვას მონოლოგია, ერთი მთლიანი ტექსტია, მის სიღრმეებში არსებული ასოციაციური დიალოგებით ძველ თუ ახლად შექმნილ მითებთან, სხვა ავტორებთან, პერსონაჟებთან. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, მსოფლიო თეატრი პოსტმოდერნულ თუ პოსტდრამატულ (ამ ტერმინების მართებულობაზე დღესაც ბევრს დავობენ მკვლევრები) სიტუაციაში იმყოფება. და, მაინც, რას ნიშნავს პოსტდრამატული თეატრი? თუკი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი მკვლევრების ნააზრევს დავეყრდნობით (პიტერ ბრუკი, ჰანს-თის ლემანი, ეჟი გროტოვსკი, ეუჯენიო ბარბა, ნიკოლა სავარეზე, მიხეილ თუმანიშვილი, რიჩარდ შეხნერი და სხვა), ეს არის თეატრი, რომელიც მანამდე არსებულ ყველა ფორმასა თუ ნარატივს მოიცავს, და, არაფერს უარყოფს, თავისებურად გადამუშავებულს წარმოაჩენს, როგორც დრამატურგიულ, ასევე სადადგმო ხელოვნებაში. და, თუკი, ბრუკის პერიფრაზს მოვიხმობთ, მთავარია, არ დაიკარგოს ის მუხტი, ის ნაპერწკალი, რომლიდანაც იზადება „ცოცხალი“ თეატრი. ილუმორული თუ ეპიკური, ვერბალური თუ არავერბალური, ფიზიკური, ცეკვის, ინტერაქტიური, მულტიმედიური და ასე შემდეგ. მოკლედ შეიძლება ვთქვათ, რომ „ცოცხალი“ თეატრი თანამედროვე თეატრია, რომელიც თანა-

6 ПИСКАТОР, Политический, 1934, с. 40.

7 ბარბა, სავარეზე, ანთროპოლოგია, „კენტავრი“, 2025.

8 გერმანული ექსპრესიონისტული თეატრის პირველ ეტაპს „ლირიკულს“ ან „პროვინციულს“ უწოდებენ. ამ პერიოდში რეჟისორები ბერლინში არ დგამდნენ სპექტაკლებს. მუშაობდნენ დრამშტადში, ფრანკფურტში, კიოლნში, დიუსელდორფში, დრეზდენსა და მანჰეიმში. გუსტავ ხარტუნგი (Gustav Hartung 1887-1946), რიჩარდ ვაიპერტი (Richard Weichert 1880-1961), ოტო ფალკენბერგი (Otto Falkenberg 1873-1947) აგებდნენ თავიანთ სპექტაკლებს, როგორც მთავარი გმირის მონოლოგს და ქადაგებას ერთდროულად. მოგვიანებით ექსპრესიონისტული მიმართულების თეატრში ჩნდება პოლიტიკური მოტივები. ამ მიმართულებით გერმანიაში 3 დიდი რეჟისორია: კარლ ჰაინც მარტინი (Karl Heinz Martin 1888-1948), ლეოპოლდ იესნერი (Leopold Jessner 1878-1945) და იურგენ ფელინგი (Jürgen Fehling 1885-1968). პოლიტიკურ თეატრს ქმნის ერვინ პისკატორი (1893-1966).

9 ლუიჯი პირანდელო.

მედროვე სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს ასახავს.

განხილვა

ბოლო პერიოდში თბილისში არაერთი მნიშვნელოვანი სპექტაკლი დადგეს სხვადასხვა თაობის რეჟისორებმა სხვადასხვა თეატრში. გამოვყოფ რამდენიმეს, რომლებშიც კლასიკური ნაწარმოებების ინტერპრეტირებით მაღალმხატვრულად გადმოსცეს ჩვენს დროსთან მისადაგებული პოლიტიკურ-სოციალური პრობლემები. ესენია, უფროსი თაობის წარმომადგენლის, ლევან წულაძის - თეატრი სახელოსნო 42-ში - განხორციელებული ნიკოლაი გოგოლის ნაწარმოების მიხედვით „ცხვირი“, ახალგაზრდა რეჟისორის, დათა თავაძის, მარკიზ დე სადის ტექსტებზე აგებული „Liberté“ სამეფო უბნის თეატრში, გეგა გაგნიძის (სულ რამდენიმე წლის წინ დაამთავრა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი) „იოსები“, ფრანკ კაფკას რომანის - „პროცესის“ - მიხედვით, რომელიც თეატრი ათონელზე პროდუქციაა.

გაფიცვის 100 დღეში, ძირითადად კერძო, დამოუკიდებელი თეატრები იყვნენ აქტიურად ჩართულნი, სახელმწიფო თეატრებიდან მხოლოდ ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრი, რომელმაც სპექტაკლების თამაში მაშინაც არ განაახლა, როდესაც გაფიცულ თეატრთა უმრავლესობამ წარმოდგენების ჩვენებები დაიწყო. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი თვლიდა, რომ, სანამ მათი მსახიობი ანდრო ჭიჭინაძე უსამართლოდ იმყოფება ციხეში, ამორალური იქნება გაფიცვის დასრულება. დანარჩენმა სახელმწიფო თეატრებმა გაფიცვა ოფიციალურად არ გამოაცხადეს, მაგრამ სპექტაკლებს არ თამაშობდნენ. სახელმწიფო სტრუქტურამ - კულტურის სამინისტრომ - ახალი თეატრი, რომელიც მაყურებელთა დასწრების მხრივ ერთ-ერთი მოწინავე იყო, დასაჯა - სამხატვრო ხელმძღვანელი, დავით დოიაშვილი, მოხსნა, ახალი ვერ დანიშნა (მშვენივრად ესმით, რომ არცერთი სინდისის მქონე სათეატრო მოღვაწე არ დათანხმდება ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობას), თეატრი დღემდე არ ფუნქციონირებს. კერძო, დამოუკიდებელი თეატრებისთვის, რომელთა შემოსავალს გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა შეადგენს და ასევე, პროექტები, გაფიცვის პერიოდში, ეკონომიკური თვალსაზრისით, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი მედგრად იდგნენ და დგანან ცივილიზებული ღირებულებების დასაცავად. როგორც აღვნიშნე,

მათ პროტესტის ფორმა შეცვალეს, დღეს ისინი სათეატრო ფიცარნაგებიდან ესაუბრებიან მაყურებელს აქტუალურ პრობლემებზე.

ლევან წულაძემ გოგოლის გენიალური ქმნილება „ცხვირი“ მეორედ დადგა, პირველად თეატრალურ სარდაფში რუსთაველზე, ამჯერად, მის-სავე დაარსებულ - თეატრი სახელოსნო 42-ში. რეჟისორის ეს გადაწყვეტილება, ვფიქრობ, განაპირობა, მაშინაც და ახლაც, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურმა ვითარებამ. მართალია, ამ ორ დადგმას თითქმის 30 წელზე მეტი აშორებს, მაგრამ მაშინაც და დღესაც, საქართველოს, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოს, „გარდამავალი ეპოქის“ რყევები აზანზარებს. XXI საუკუნის დასაწყისში და ახლაც, საქართველო კორუმპირებული და ქვეყნისთვის დამღუპველი, პოლიტიკური საგარეო კურსის მქონე, სახელმწიფო მმართველი სისტემის პირობებში, სოციალურად დაუცველი ქვეყანაა. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში და ახლაც, ქვეყანა უფსკრულის პირასაა, გადასარჩენად აუცილებელია ძირეული ცვლილებები, რეფორმები.

სწორედ ამ ვითარების გადმოსაცემად მიმართა ლევან წულაძემ გოგოლის მოთხრობას, რომელშიაც უკრაინული წარმოშობის მწერალმა, მისთვის დამახასიათებელი ფეერიული და სარკასტული სტილით, მაღალმხატვრულად ასახა ავტოკრატიული მმართველობის პირობებში, კორუფციული სახელმწიფო სტრუქტურების არსებობა, ჩინოვნიკთა ზღვარგადასული პარპაში, კარიერული წინსვლისთვის ყველაფრის გაღება, თანამდებობის ქონის სურვილი გასამდიდრებლად, საზოგადოება ქცეული უპიროვნო მასად, სულიერებისგან დაცლილი ადამიანის დეგრადირება, „ცარიელ ადგილად“ გარდაქმნა, ცხოვრება, სადაც სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის, თანალობისთვის ადგილი აღარ დარჩა. გოგოლის ორი საუკუნის წინ დაწერილ „ცხვირში“ ასახული პრობლემატიკა, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დღესაც ძალიან აქტუალურია.

ლევან წულაძის სპექტაკლში მოთხრობის მხოლოდ ფაბულაა გამოყენებული. რეჟისორმა სასცენო ტექსტის შექმნისას შეინარჩუნა ნაწარმოების მხატვრული სტილი - ფეერიულობა, კარნავალურობა, დრამატული ამბის სატირულ-გროტესკული აბსურდულობა, დრამატული ამბის კომიკურად გადმოცემა. სპექტაკლის დადგმისას სამოედნო-სახალხო თეატრის ბუფონადური ფორმა გამოიყენა. სპექტაკლში პერსონაჟები უსახელოები არიან,

რეჟისორმა კრებითი სახეები შექმნა.

სახელმწიფო მოხელის (ნიკა კუჭავა) ძილში დაკარგული ცხვირი (ნიკა ხრიკული) რეჟისორმა სანაგვე ურნიდან ამოაძვრინა. მის მიერ მიცემული ამოცანის თანახმად, ქორეოგრაფ თინათინ წულაძის პლასტიკური ნახაზის მიხედვით, მსახიობი არავერბალურად, სხეულის ენის გამოყენებით ასახავს სანაგვიდან „დაბადებული“ ადამიანის თანმიმდევრულ აღზევებას, სხვისი საკუთრების მითვისებას – ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თანამდებობის, ქალების.

ლევან წულაძის სპექტაკლში ასახულ სამყაროში ყოველგვარი ადამიანური გამქრალია და თავად ადამიანები კი გამოშინებულ, უპიროვნო არსებებად იქცნენ. ფინალში ნიკა ხრიკულის გაქცეული ცხვირი, რომელიც სახელმწიფო სამსახურში აღზევდა – მაღალი თანამდებობა უჭირავს, ყველაფრის უკან დაბრუნებას სთავაზობს ყოფილ პატრონს, ნიკა კუჭავას კოვალიოვს, მას, ვისი ცხვირიც იყო ერთ დროს, სანაცვლოდ კი კოვალიოვის ბურგზე ხანდახან ფეხებს დაასვენებს ხოლმე. ლევან წულაძემ სპექტაკლი უკიდურესად პესიმისტურად დაასრულა – მცირე ჭოჭმანის შემდეგ კუჭავას ჩინოვნიკი თანხმდება, ყოფილი ცხვირის ფეხის დასადებ ლაქიად იქცეს.

დრამატულ ფინალში, კუდიანები დედამიწაზე ეშმაკის ბოლო ვიზიტზე ჰყვებიან. სატანაც კი გააოგნა და დაადარდიანა ადამიანთა ვერაგობამ – ამათ სიბოროტეში ჯოჯოხეთს გაასწრესო. „რა დაგემართათ ადამიანებო, ასე როგორ გაირყვნით, ასე როგორ დახელოვნდით ყველაფერ იმაში რასაც წესით მე უნდა გასწავლიდეთ. [...] ჯოჯოხეთში ყველაფერი სინდისის ქენჯნაზეა აგებული, სინანულზე და აბა რომელ სინდისზე და სინანულზე შეიძლება ლაპარაკი დღეს. ვილა ნანობს რამეს, ვილას ქენჯნის სინდისი?! ჯოჯოხეთი გაუქმდა და ადამიანთა სამყაროში გადმოინაცვლა“. – ლევან წულაძის დაწერილი ეშმას მონოლოგი ძალიან მძაფრია. გულდადარდიანებული ფიქრობ: რად იქცა ადამიანი, რა ფასეულობებით ცხოვრობენ დღეს ადამიანები, საერთოდ თუ შემოგვრჩა ფა-

სეულობები?! „მომეცით მასობრივი ინფორმაციის წყაროები და ნებისმიერ ერს ღორების კოლტად ვაქცევ“ – ბაია დვალისშვილის კუდიანი-ჟურნალისტი, იომეფ გებელსის გამონათქვამის (დღემდე არ არის ფაქტებით დადასტურებული, მართლა გებელსს ეკუთვნის თუ არა) პერიფრაზს აკეთებს, ნიკა კუჭავას პერსონაჟის პასუხად, როდესაც იგი დახმარებას სთხოვს სიმართლის გამომგებურებაში.

გამიზნულად აგორებული სკანდალის მსხვერპლი გახდა დათა თავაძე და მისი საავტორო სპექტაკლი „Liberté“, რომლის პრემიერა 2024 წლის 30 ოქტომბერს გაიმართა (თავისივე შექმნილ ტექსტში, დათა თავაძემ, სხვადასხვა ეპოქის კლასიკური ტექსტების ნაწყვეტები გამოიყენა, მათ შორის მარკოზ დე სადის ფილოსოფიური ნააზრევები, 2014 წელს აღმოჩენილი). პრემიერის თარიღს სპეციალურად გავუსვი ხაზი, ვინაიდან სამთავრობო სტრუქტურების მიერ მართულმა, ჩვენი საზოგადოების ნაწილმა, ეგრეთ წოდებულმა „ტეშმარიტმა მართლმადიდებელმა“ ფარისევლებმა, თითქმის ერთი წლის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ სპექტაკლი „მკრეხელური ღვთის გმობაა“, „გარყვნილებას ქადაგებს“ და ასე შემდეგ. „გაავებული“ ბრბო ეშმაკებივით შეესია სამეფო უბნის თეატრს, მსახიობებს კვერცხებს უშენდნენ და ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. რეჟისორს, შეიძლება ითქვას, ატერორებდნენ და იძულებული გახადეს ქვეყანა დაეტოვებინა.¹⁰ ეს ყველაფერი კი, დათა თავაძის მოქალაქეობრივი პოზიციის გამო მოხდა. ბოლო 2-3 წელი, ის არ ერიდებოდა და აქტიურად, ხმამაღლა აკრიტიკებდა ქვეყნის მმართველობის სამთავრობო-პოლიტიკურ კურსს, გაყალბებულ არჩევნებს, ქვეყანაში არსებულ სოციალურ უსამართლობას, მოითხოვდა შეითხინილი ბრალდებებით დაპატიმრებული ახალგაზრდების ციხიდან გათავისუფლებას და სხვა. სწორედ ეს არ აპატიეს რეჟისორს და ალბათ, დაჭერიტაც დაემუქრნენ, როდესაც საქმიანი ვიზიტით ბრატისლავაში მყოფ დათა თავაძეს სამთავრობო სტრუქტურებმა შეუთვალეს, არ დაბრუნდე საქართველოშიო.

¹⁰ დათა თავაძე თითქმის 1 წელი იძულებით ემიგრაციაში იყო პოლიტიკური აქტივიზმის გამო, თავად რეჟისორი და მის ოჯახი მორალური და ფიზიკური წნეხის ქვეშ ჰყავდათ. ფიზიკური განადგურებითაც კი ემუქრებოდნენ. დათა თავაძემ ემიგრაციის პირობებში დადგა სპექტაკლები საომარ მდგომარეობაში მყოფ უკრაინასა (კიევში) და პოლონეთში. მან მოიკრიბა სულიერი თუ ფიზიკური ძალები, დღეს ისევ საქართველოშია და აპირებს საკუთარ თეატრში სპექტაკლების დადგმას და პოლიტიკური აქტივობის გაგრძელებას. იხ. მისი სოც. ქსელები სადაც დადებული აქვს სპექტაკლების პრემიერების შესახებ ინფორმაციები და კარგად ჩანს რომ იგი კვლავ აგრძელებს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას. Data Tavazde – FB, Instagram.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ აგრესორ „ფარისეველთა“ გარემოცვაში სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებიც აღმოჩნდნენ.

დათა თავადის „Liberté“ - საფრანგეთის მე-18 საუკუნის ისტორიულ ფაქტებზე, მარკიზ დე სადის „ფილოსოფიიდან“ ფრაგმენტებით გაცერებულ ტექსტზე აგებული სპექტაკლია, რომელიც საზოგადოებაში არსებული გარყვნილების, ფარისევლობის, უღმერთობის წინააღმდეგაა მიმართული. ვფიქრობ, პირველად საქართველოში, დადგმა ფორმითა და სტრუქტურით, ანტონენ არტოს თეორიული ნაშრომების პრაქტიკული განხორციელებაა. ეს არის საზოგადოების გამოსაფხიზლებლად სიმართლის პირში მიხლა, შეიძლება ითქვას, სილის გაწნა. ოთხი მსახიობი: ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, სანდრო სამხარაძე და გაგა შიშინაშვილი 2 საათის განმავლობაში, ფიზიკურად, ინტელექტუალურად, ემოციურად ბოლომდე იხარჯებიან და მაყურებელს ერთი წუთით მოდუნების საშუალებას არ აძლევენ.

ამბავი „Liberté“-ში ძირითადად ლუდოვიკო XV - ის მეფობის პერიოდში, საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებს ასახავს. იმ პერიოდში, უზენაესი სუვერენი და მისი გარემოცვა, განცხრომის ფუფუნების, ნაყროვანების მორევში ჩაფლულნი, რომელთათვისაც სხვადასხვა ტიპის ორგიები ცხოვრების ნორმად იყო ქცეული, არად აგდებდნენ ხალხის გაჭირვებას. საფრანგეთის უბრალო მოსახლეობა, სოციალურად აბსოლუტურად დაუცველი, ფაქტობრივად, შიმშილობდა. ლუდოვიკო XV, მისი საყვარლები - მარკიზა დე პომპადური თუ ყოფილი მეძავი მადამ დიუბარი, სამეფო კარი - გარყვნილების მორევში ჩაფლულნი სახელმწიფო ხაზინას ანიაგებდნენ. მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, დაცარიელებული ხაზინის შევსება, მხოლოდ მესამე წოდების (გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები, მეწარმეები) წარმომადგენლებს ეკისრებოდათ, თავად - აზნაურობა და სამღვდელოება მეფის ბრძანებით გადასახადებისგან გათავისუფლებული იყვნენ. საკუთარი ქვეყნისა და ხალხისადმი ამგვარი დამოკიდებულება საფრანგეთის რევოლუციით (1789-1799) და იმ პერიოდისთვის დემოკრატიული რეფორმებით დასრულდა. მანამდე კი, 1757 წელს უბრალო მოქალაქემ, მშრომელმა ადამიანმა რობერ-ფრანსუა დამიენმა, გაჭირვებით და უსამართლობით გამწვარებულმა, ვერსალის მოედანზე მეფე დანით დაჭრა. პარლამენტის დიდმა პალატამ თავდამსხმელს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. დამიენი სამა-

გალითოდ, არაადამიანური სისასტიკით აწამეს და ბოლოს მისი ნატანჯი სხეული ცხენებმა ოთხად გაგლიჯეს.

სწორედ, ამ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, შექმნეს და ქმედითად გამოსახეს ამბავი, დათა თავადემ და შემოქმედებითმა დასმა „Liberté“-ში. ეს არის სპექტაკლი, რომელიც ახალ დროებას, ჩვენს ქვეყანაში თუ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს ეხმიანება: დაუსრულებელ ომებს, ძალადობას, უსამართლობას, კორუფციას, ადამიანის დეგრადაციას, ადამიანის სულიერ გამოშიგვნას, ერთმანეთისადმი დაუნდობლობას, ადამიანის მისწრაფებას მომხვეჭელობისკენ, ძალაუფლების მოპოვებისკენ, გარყვნილებისკენ, ფარისევლობისკენ. „Liberté“-ს ნახვის შემდეგ, განიცდი იმას, რასაც თავის დროზე არისტოტელემ *კათარსი*-სი უწოდა. რეჟისორმა, თითქოს მოულოდნელი, მაგრამ ამავედროულად, არტოს სათეატრო ესთეტიკისთვის ზუსტად მისადაგებული ფინალი გააკეთა: ამ ენით აღუწერელი ადამიანთა ცოდვილი ბუნების წარმოჩენის შემდეგ, მსახიობები სცენაზე მსხდომ მაყურებლებთან მიდიან, აყენებენ თითოეულს, მიჰყავთ ერთმანეთისკენ და ახუტებენ. ასე, შენთვის სრულიად უცნობ ადამიანთან ჩახუტებული, რამდენიმე წუთი დგახარ და ფიქრობ, ფიქრობ, ფიქრობ... ვინ არის ადამიანი, რატომ, რისთვის სჩადის ყველაფერ ამას, გული გტკივა, მაგრამ თანდათან, უცნობთან ჩახუტებული, საოცარი სიყვარულის გრძნობით აღივსები მოყვასის მიმართ.

„Liberté“-ს ყოველი შემადგენელი კომპონენტი რეჟისორის კონცეფციის თანხმეობა, იქნება ეს, ნიკა ფასურის მუსიკალური რიგი, რომელიც აქცენტირებს, აფორმირებს, ემოციურად მუხტავს და განწყობის შექმნას ამძაფრებს, ქეთი ნადიბაიძის მინიმალისტური ხერხებით შექმნილი სცენოგრაფია, რომელშიაც ნახევარტონებით გადაწყვეტილ განათებას უდიდესი დატვირთვა ენიჭება, თუ, სიმონ მაჩაბლის, საფრანგეთში, მე-18 საუკუნეში არსებული მოდის მიხედვით შექმნილი სტილიზებული კოსტიუმები, სხვადასხვა დეტალით გაფორმებული, რომლებიც ცივილიზაციის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე მიაწვნიან.

სპექტაკლში ამოიცნობთ სხვადასხვა ეპოქის მნიშვნელოვან ტექსტებს, სხვადასხვა ეპიზოდში, სცენების კონსტრუქცია, მეხსიერებაში ამოგტივტივებს ცნობილ მხატვართა ფერწერულ ტილოებსა თუ მოქანდაკეთა ქვაში გამოკვეთილ ქმნილებებს... მაგალითად, სანდრო სამხარაძის პერსონაჟი, შუასაუკუნეების რაინდის აბჯარში იმოსება, ერთდრო-

ულად გმირსა და უსუსურ არსებას, უკანა ნაწილი გაშიშვლებული აქვს. იგი ნელ-ნელა ნატუკა კახიძის ცალმკერდმოშიშვლებული პერსონაჟისკენ მიბობლავს მაღლა კიბეზე, ვიზუალურად ეპიზოდი ერთდროულად მოგაგონებს ბოტიჩელის „ვენერას დაბადებას“ და „მადონას ჩვილით“. დღეს, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებმა, „ამა ქვეყნის ძლიერთა ფარისეველმა მამებლებმა“, ჩუმად, ქურდულად, მალულად, სწორედ ამ სცენის ნაწილი, მიუხედავად თეატრის მიერ დაწესებული აკრძალვისა, გადაიღეს, მარკიზ დე სადის ნააზრევი, დათა თავადის დაწერილ ტექსტად გაასაღეს და სოციალურ ქსელში გაუშვეს – ნახეთ ვინ ებრძვის ჩვენი ქვეყნის „უცოდველ“ მმართველებსო. სამთავრობო მასმედიაშიც არ დააყოვნა „ღვთისმგმობთა“ დამძრახავი სიუჟეტების ტირაჟირება. ვაი მორწმუნეებმა, ვაი პატრიოტებმა და ვაი ადამიანებმა ატეხეს ვიშვიში – ეს ხომ ღვთისგმობაა, ჩვენი საყვარელი ქრისტე შეურაცხვეს და გვიშველეთ, დავიცვათ ჩვენი ზნეობა, ქართველობა! ქალი – ქალია! კაცი – კაცია! და მისთანანი. ეს ვაი ქრისტიანები, ქრისტესმიერი სიყვარულით გაუსწორდნენ დათა თავადს და თეატრს – სიტყვიერად თუ ფიზიკურად. შედეგად, ქართულ სათეატრო სივრცეში, ბოლო პერიოდში შექმნილი, ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი „აიკრძალა“. 21-ე საუკუნეში ადამიანებმა ადრეული შუასაუკუნეების ხანაში დაბრუნება გადაწყვიტეს – ინკვიზიციის ცეცხლში სურთ დაწვან მოწინავე ადამიანები, ხელოვანები და ყველაფერ ამას, როგორც მაშინ, ისე ჩვენს დროში, უდიდესი სიყვარულის, სიკეთის, მიმტევებლობის მქადაგებლის – ქრისტეს სახელით სჩადიან „სადუკეველნი და ფარისველნი“.¹¹

„ისინი დიდხანს გააგრძელებენ ჩვენამდე დაწყებულ ლაპარაკს, ჩვენს მერეც გააგრძელებენ და, იქნებ, მას მერეც, რაც ენებს დააჭრიან. მეტყველების ქურუმები – მოხრობელები სულ სხვა დროებიდან, – დროის დაკარგვის შიშის გარეშე, თითქმის უშიშრად; წამიერი მღელვარების ფონზე – მოკლე გათავებისას, ან სულაც გაუთავებლად, – რომელიმე მშვიდობიანი დემონსტრაციის სისხლიანი დარბევის პარალელურად, – ისტორიის სახ-

სრებიდან წამიერად ამოვარდნის დროს, დროსთან ყველანაირი კავშირის გარეშე, სრულიად უდროოდ. როცა მოქმედების ვადა ამოეწურებათ, იტყვიან, „რევოლუცია“, მოიფიქრებენ მოქმედების ადგილს – ბასტილიის ციხეში, ზამთრის სასახლეში, თბილისში, თუ თაპრიის გადავსებულ მოედანზე. 1789? 1917? 1989? 2011? ... რა მნიშვნელობა აქვს...“.¹² – ამგვარი წამძღვარება გაუკეთა თეატრმა „Liberté“-ს. GOOGLE – საძიებო სისტემაში თუ შეიყვან ამ სიტყვებს, იმ წამსვე ამოგიგდებს რამდენიმე საიტის მისამართს, მათ შორის, 2025 წლის აპრილის თვეში დადებულ, BILETEBI.GE-სას, წითლად მონიშნულია, რომ წარმოდგენაზე ყველა ბილეთი გაყიდულია, გულისტკივილით კითხულობ ინტერნეტში დარჩენილ ინფორმაციას სპექტაკლის შესახებ, თავად „Liberté“ კი მკვდარია.

ახალგაზრდა, ნიჭიერმა რეჟისორმა, გეგა გაგნიძემ თეატრში ათონელზე ფრანც კაფკას „პროცესის“ მიხედვით, დადგა სპექტაკლი, რომელსაც „იოსები“ უწოდა. „პროცესი“, ისევე როგორც, კაფკას სხვა ნაწარმოებები, დღესაც კვლევის საგანია. მტრულ სამყაროში გადმოგდებული ადამიანი, ადამიანის და აბსურდული სამყაროს გაუცხოება, ადამიანის მიერ საკუთარი არსის ძიება, მისი უუნარობა, სისუსტე, უძლურება – უზენაესი ხელისუფლების, კანონის, სასამართლოს – სისტემის მიმართ, ამ ყველაფრით გამოწვეული ადამიანის დეპრესიულობა – კაფკას მოთხრობებსა და რომანებში წამოჭრილი უმთავრესი პრობლემებია.

აფიშა გვამცნობს, რომ „იოსები“, ფრანც კაფკას „პროცესის“ მოტივებზე აგებული, გეგა გაგნიძის საავტორო სპექტაკლია. მართლაც, რეჟისორმა ნაწარმოების მხოლოდ ფაბულა დატოვა. გეგა გაგნიძემ, ნაწარმოებისგან განსხვავებით, იოსების (იოზეფის) ცხოვრების მხოლოდ უკანასკნელი ერთი დღე ასახა და ამ ერთ დღეში ჩაატია კორუმპირებული, ძალადობრივი სისტემის მოქალაქესთან, ადამიანთან დაპირისპირება. ძალადობრივი სისტემის მიერ ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური განადგურება. გეგა გაგნიძის სასცენო, საავტორო ტექსტში მაყურებელი ამოიცნობს ფრაზებს კაფკას რომანიდან.

11 უნებურად გაგახსენდება ჰენრიკ იბსენის „ხალხის მტერი“, ექიმ თომას სტოკმანის საზოგადოებისადმი მიმართვა ეგრეთ წოდებულ კრებაზე, სადაც იგი ამბობს, რომ ახალი აღმოჩენა გააკეთა, რომ თავისუფლების და ჭეშმარიტების ნამდვილი მტერი, სამთავრობო სტრუქტურების გარყვნილი წარმომადგენლები კი არაა, არამედ „მტკიცე უმრავლესობა“, რომელშიაც იგი ფარისეველ საზოგადოებას გულისხმობს: „ხალხის მტერი“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974, გვ. 821.

12 BILETEBI.GE, Liberté.

რეჟისორი ადამიანთა (ჩვენი) ყოფის, არსებობის დრამატულ ამბავს უტრირებული ხერხების გამოყენებით ქმნის – იუმორით, ზოგჯერ ირონიით, ზოგჯერ სარკაზმით. მოქმედება გადატანილია მომავალში, იოსების ბინაში ყველაფერი კომპიუტერიზებულია, ვირტუალურ და რეალურ სამყაროს შორის ზღვარი წაშლილია. გეგა გაგნიდის კონცეფციიდან გამომდინარე, სცენოგრაფმა მარიამ ძმანაშვილმა ფანტასტიკური ფილმების მსგავსი გარემო და პერსონაჟთა კოსტიუმები შექმნა. სპექტაკლი, რომანის მსგავსად, იოსების ბინაში მისი გაღვიძებით იწყება, მაგრამ ნაწარმოებისგან განსხვავებით, საათნახევრის განმავლობაში, მოქმედება მხოლოდ ამ ერთ ოთახში მიმდინარეობს და სრულდება.

მაყურებელი სამი მხრიდან ადევნებს თვალს სცენაზე განვითარებულ ამბავს, სცენაზე განლაგებული ადგილებიდან და მაყურებელთა დარბაზიდან. ისინი, იოსების დრამატულად დასრულებული ცხოვრების, თანამონაწილეები, ჩუმი მოწმეები არიან. რეჟისორის ჩანაფიქრით, მაყურებელი – ყველაფრისადმი შემგუებული ჩვენი საზოგადოების სახეა. სახელმწიფო სისტემის ძალადობას, სისტემაში არსებულ კორუფციას, სისტემის მიერ შექმნილ აბსურდულ კანონებს – შეგუებული საზოგადოების, რომელმაც დაუშვა იოსების არ არსებული ბრალდებით დაპატიმრება, კანონთა რღვევა/მოშლა, ბრალმდებლის და განაჩენის გამომტანის, პროკურორის და მოსამართლის გაერთიანება და საბოლოოდ, უსამართლოდ გამოტანილი განაჩენის აღსრულება, იოსების სიკვდილით დასჯა. კიდევ ერთი დეტალია აღსანიშნავი, რეჟისორმა იოსები სახე განაზოგადა, იოსები ჰქვია მთავარ პერსონაჟს, მის მამას, ძმას, მეზობელსაც და ასე შემდეგ, „სისტემაში“ მოქალაქეები უსახურ იოსებებად აქცია.

ნოე კვირკველიას შექმნილი მუსიკალური რიგი, რომელშიც სხვადასხვა ცნობილი საოპერო არიაცაა ჩართული (ისტერიაში მისული იოსები, კულმინაციურ მომენტებში, გროტესკულად, თავგანწირვით ასრულებს), სცენოგრაფიასა და განათებასთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სპექტაკლში, ემოციური მუხტისა და განწყობის გასამძაფრებლად.

მსახიობები – გიორგი შარვაშიძე, ნატალია გაბისონია, გიორგი გიორგანაშვილი, ნიკო ფიფია – პროფესიონალური ოსტატობით ქმნიან თავიანთ

პერსონაჟებს, გროტესკისა და ირონიის ხერხების გამოყენებით – უსულგულო, ადამიანურ სიყვარულს, სიბოძის მოკლებული, ემოციებაკარგული, რობოტებად ქცეულ არსებებს. სწორედ მათი შემგუებლური, ინდიფერენტული ბუნების გამო შეიქმნა სახელმწიფო სისტემის მახინჯი ფორმები.

გეგა გაგნიდისა და შემოქმედებითი დასის სპექტაკლი – „იოსები“ – ერთგვარი გაფრთხილებაა საზოგადოების იმ წევრთა მიმართაც, ვინც არანაირად რეაგირებს უსამართლობაზე, პირიქით, ეგუება და ხანდახან ამართლებს კიდევ. და თუკი ჩვენ, ადამიანები, დავუშვებთ შევეგუებით, ძირშივე არ აღკვეთავთ, ჩინოვნიკთა მიერ სახელმწიფო სისტემის მახინჯი ფორმების შექმნას – დავიღუპებით.

დასკვნა

რუმინელი თეატროლოგი ოქტავიან საიუ ჰანს-თის ლემანის „პოსტდრამატული თეატრის“ ქართული გამოცემისთვის დაწერილ წინასიტყვაობაში ამბობს: „ისტორიისა თუ გავლენის მეშვეობით დრამატულ ტრადიციაში ფესვგადგმული ქართული თეატრი ახლა გარდამტეხი გარდაქმნის ზღვარზეა. უფრო და უფრო ხმამაღლა ისმის ახალი ხმები, რომლებიც იმას გვპირდებიან, რაც სამყაროს ყველაზე მეტად სჭირდება: სიცოცხლისუნარიანობა! სწორედ ამას ელტვოდა ლემანიც და ეს არის მისი ტექსტის ქვაკუთხედიც; ამას იკვლევდა და ყველაფერზე მაღლა აყენებდა. პოსტდრამატული სხვა არაფერია, თუ არა სრული დატვირთვით თანამედროვე. პოსტდრამატული არის არა ის, რაც დრამატულს მოსდევს, არამედ აწმყოში დრამატულის განსხვავებული სახე და წახნაგი: სწორედ მათი დაძაბული თანაარსებობა უნარჩუნებს თეატრს სიცოცხლეს. საქართველოში ეს სიცოცხლისუნარიანობა იგრძნობა“.¹³

ქვეყანასა თუ მსოფლიოში განვითარებულ ურთულეს პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ ვითარებაში, როდესაც საქართველო, 1921 წლის მსგავსად, კვლავ დამოუკიდებლობის დაკარგვის, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობის საფრთხის წინაშე დგას, როდესაც მსოფლიოში, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომია გაჩაღებული, პოსტდრამატული ანუ თანამედროვე ქართული თეატრი, მოაზროვნე, მოწინავე საზოგადოების წევრთა გვერდით დგას და სხვადასხვა სათეატრო ფორმით „იბრძვის“ სამშობლოს, ადამიანის ღირსების და თავისუფლების, სოციალური

13 ლემანი, პოსტდრამატული, 2024, გვ. XVIII.

და პოლიტიკური სამართლიანობის დასაცავად და აღსადგენად. თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული თეატრი „ცოცხალია“, დროის კონტექსტში მყისიერად რეაგირებს ეპოქალურ გამოწვევებზე, შემოქმედებით/მხატვრული თვალსაზრისით ითვისებს და თავადაც ქმნის სიახლეებს. ამის მაგალითები ქართულ თეატრში მრავლად

გვაქვს (ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული), ამჯერად, საკონფერენციო საკვლევი თემის კონტექსტში, მხოლოდ თანამედროვე დროსთან მიმართებით, რამდენიმე მათგანზე შევაჩერე ყურადღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარბა ე., სავარგზე ნ., თეატრის ანთროპოლოგია, თბ., 2025.
- ბრუკი პ., ცარიელი სივრცე, თბ., 1984.
- ლემანი ჰ. თ., პოსტდრამატული თეატრი, თბ., 2024.
- ოთხოზორია ვ., Liberté ანუ შემდეგი. <https://www.theatrelife.ge/liberteanushedegi> 23/07/2026
- შეხნერი რ., გარემოს თეატრი. თბ., 2023.
- WARLIKOWSKI Krzysztof, The International Message, a reflection on theater and peace delivered this year by Polish director. <https://www.youtube.com/watch?v=v3fdXeALRzk> <https://culture.pl/en/article/warlikowskis-message-for-world-theatre-day-2015> 23/07/2026
- MANGO Lorenzo, Form and Politics: An Introduction of the Theatre of Milo Rau. <https://journal.eastap.com/2019/01/25/form-and-politics-an-introduction-to-the-theatre-of-milo-rau/> 23/07/2026
- ПИСКАТОР Э., Политический Театр, Лос-Наркомвоенмора им. Клима Ворошилова, Ленинград, пл. Урицкого, 10, 1934. <https://archive.org/details/Piscatorpolitteatr> 23/07/2026

LIVING THEATER IN THE CONTEXT OF TIME

Marine (Maka) Vasadze

“If the purpose of the theater were only to provide entertainment, perhaps it would not be worth putting so much effort into it. But the theater is the art of reflecting life”.¹

Keywords: time, theater, director, art, politics, interpretation

Throughout the centuries, theater has been reflecting the problems of modernity in various ways and forms. Theater is alive and interesting only when it establishes contact with the audience, only when a dialogue takes place between theater and audience, when it is in tune with the times and era, raises contemporary issues, acute social or political problems, asks questions, and together with the audience seeks answers and ways out of the current situation.

Throughout its centuries-old history, theater has changed its forms and methods of performance, creating and continuing to create various directions in content, structure, and form. The current time, era, or situation sometimes pushes for changes. Quoting Peter Brook, “In the theater, every form once born is mortal; every form must be reconceived, and its new conception will bear the marks of all the influences that surround it”.²

Throughout its existence, Georgian theater has always reflected contemporary life. The pain of the country and its people has been heard from the Georgian stage. Moreover, the heroic death of Machabeli’s troupe in the Battle of Krtsanisi, fighting invaders, is an unprecedented event in the history of world theater.

The goal of my research is to demonstrate how Georgian theater responds to recent developments in Georgia, in what forms and ways.

Preamble

Following the October 2024 elections, the events taking place in Georgia have caused a sharp public reaction. People protested peacefully against the rigged elections, changes in the country’s foreign policy and the transition from Europe to the occupier Russia. Government structures responded inadequately to the protests of the people. The police brutally dealt with the citizens of their own country, with 50 young people arrested on absurd charges, including actors Andro Chichinadze and Vepkhia Kasradze. The so-called Unjust Court was turned into an unimaginable, endless, grotesque “Theater

